ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 აგვისტოს

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 14 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 15

დაბა ხარაგაული **2019 წლის 14 აგვისტო**

9 აპრილის . #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები : პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზ ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, რუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, გივი ხიჯაკაძე, ბესიკ ტალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, თეიმურაზ ფცქიალაძე, დავით მაღლაფერიძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი.

სულ საკრებულოს 29 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი:

ნინო მაღლაკელიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი საფინანსო - სახაზინო განყოფილების უფროსი

აფრასიონ ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი

თემურ თაბუკაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ.ბუბულაშვილი – ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის" ჟურნალისტი,

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ ჩემი იმერეთის" რედაქტორი,

თ. ბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი,

ლ. ნიქაბაძე- ოპერატორი.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი და კენჭის ყრაზე დადგა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი მიღებული იქნა (თან ერთვის).

დღის წესრიგი

1 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

(თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, საკითხი განვიხილეთ საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით იყო მწვავე შეკითხვები მაგალითად ბიუჯეტიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად 21 000 ლარის გადახდასთან დაკავშირებით, ტურიზმის ცენტრისათვის, რადგან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ საჩივრდება იძულებული ვართ დავეთანხმოთ. კომისია მოითხოვს დადგეს პასუხისმგებელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი ასევე გვაინტერესებს ყველა დოკუმენტაცია სტიქიასთან დაკავშირებით, ვიმსჯელეთ მიწის შესაძენად თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით, სხდომაზე ვითხოვე აუდიტის დასკვნა შეფასებასთან დაკავშირებით მაინტერესებს თუ არის წარმოდგენილი, ვიმსჯელეთ დაბრუნებულ ავანსებზე და ერთხელ კიდევ დარწმუნდით, რომ მართლები ვიყავით, როცა ინფრასტრუქტურის სამსახურის საქმიანობა შევაფასეთ უარყოფითად , სამწუხაროდ ავანსის ამ ოდენობით დაბრუნება არამიზნობრივი საქმიანობის შედეგია. საბოლოო ჯამში კომისია დაეთანხმა წარმოდგენილ ცვლილებებს.

ჯ. გამცემლიძემ აღნიშნა, რომ ლელვანში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის აღსადგენად 2 თვეა თითი - თითზე არ დადებულა, რა ხდება, ხალხი კითხულობს და პასუხი არ მაქვს, მან მწვავედ გააკრიტიკა ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანობა.

ი. კელენჯერიძის მიერ ასევე მწვავე კრიტიკა გამოითქვა ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის მიმართ, რასაც მოჰყვა სიტყვიერი შელაპარაკება.

გ. თავზარაშვილმა აღნიშნა, რომ როგორ შეიძლება ერთ პირებთან მოლაპარაკებაზე კაცი ვერ მონახო და საქმე არ დაიწყო, ეს იმას ნიშნავს, რომ სამსახურმა საქმე არ იცის, მან ინფრასტრუქტურის სამსახურის მიმართ მწვავე კრიტიკა გამოითქვა რასაც მოჰყვა სიტყვიერი შელაპარაკება. მანვე აღნიშნა, რომ მას ძალიან მკაცრი საუბარი ექნება მერთან ამ საკითხებზე.

ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსებმა ა. ლურსმანაშვილმა და თ. თაბუკაშვილმა დატოვეს სხდომათა დარბაზი და საკრებულოს წევრებს აღარ მიეცათ შესაძლებლობა პასუხები მიეღოთ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

თ. ავალიშვილმა მიმართა მომხსენებელს, თუ რა რაოდენობის თანხაა გამოყოფილი ამბულატორიების მშენებლობებისათვის , გზებისა და ხიდ - ბოგირების რეაბილიტაციისთვის, თუ იცით რამდენია მოთხოვნილი ლელვანის სტიქიაზე.

ნ. მაღლაკელიძემ უპასუხა, სულ 104 ათასი ლარია გამოყოფილი 4 ამბულატორიისათვის, პირველ ეტაპზე გამოგვეყო 53 000 ლარი, რაც შეეხება ხიდ- ბოგირებსა და გზებზე 75 000 ლარი წავიდა. ლელვნის სტიქიისათვის 5 მლნ. ლარია მოთხოვნილი, როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის განმარტებით ვიცით.

საბიუჯეტო ცვლილების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად კენჭის ყრაზე დააყენა საბიუჯეტო ცვლილება :

კენჭის ყრაზე დადგეა საკითხი სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების დაფინანსების ხარჯებში საინჟინრო-მონიტორინგის განსახორციელებელი 5%-ის შესავსებად საკუთარი სახსრებიდან მიიმართოს 23 000 ლარი

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

კენჭის ყრაზე დადგა სკითხი ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს გაეზარდოს სუბსიდია 21 116 ლარით საკუთარი სახსრების ნაშთებიდან და მიიმართოს ჯარიმის გადასახდელად .

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 23

წინააღმდეგი

თავი შეიკავა 4

კენჭის ყრაზე დადგა სკითხი საერთაშორისო მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მშენებლობის გამო საავტომობილო გზის განვითარების ზოლში მოქცეულია ხევის საზოგადოებრივი ცენტრისა და საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის , მიწის ნაკვეთის შესასყიდად 38 000 ათასი ლარი. გამოყოფის თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს 16 733 000 ლარი; (მ. შ. წინა წელს აუთვისებელი და მიმდინარე წელს დაბრუნებული სახსრები - 1 127 000 ლარი).

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს 21 422 400 ლარით. (2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან გამოყენებული სახსრები 4 689 400 ლარით, მ. შ. სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან 4 087 700 ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთიდან 601 700 ლარი).

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე 29

წინააღმდეგი 0

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი და კენჭის ყრაზე დააყენა

წინადადება საბიუჯეტო ცვლილების დამტკიცების შესახებ

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 29 წევრი

მომხრე -29

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე